ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3092505

ნომერი: AR1477233

თარიღი : 08.02.2017

გაცემის თარიღი : 28.02.2017

გაცნობის თარიღი : 02.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თემური ქარქაშაძე პ/ნ 60001136491
- ქუთაისი სულხან-საბას გამზ. N 23 ბ. 39

ორგანიზაცია:
- ველე დეველოპმენტ კოდი: 412724164

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 დეკემბრის №2349209 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 8 თებერვალს # AR1477233 განცხადებით მომართეს შპს "ველე დეველოპმენტ"–ის დირექტორმა თემური ქარქაშაძემ და რუსუდან გოგიტაშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 დეკემბრის №2349209 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად რუსუდან გოგიტაშვილის ნაცვლად შპს "ველე დეველოპმენტ"–ის მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 დეკემბრის №2349209 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ალექსიძის ქუჩა, მოქალაქე რუსუდან გოგიტაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკ. კოდი #01.10.13.034.002) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 18 დეკემბრიდან 2017 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა რუსუდან გოგიტაშვილი.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შეიცვალა საპროექტო ობიექტის მესაკუთრე და დღეის მდგომარეობით, #01.10.13.034.002 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ველე დეველოპმენტ" (განაცხადის რეგისტრაციის #882017069929, ამონაწერის მომზადების თარიღი: 31/01/2017წ.).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 დეკემბრის №2349209 ბრძანებაში დამკვეთად რუსუდან გოგიტაშვილის ნაცვლად მიუთითოს შპს "ველე დეველოპმენტ".

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 დეკემბრის №2349209 ბრძანებაში და დამკვეთად რუსუდან გოგიტაშვილის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "ველე დეველოპმენტ";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 დეკემბრის №2349209 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.